დროის პერსპექტივის, პიროვნული იდენტობისა და აკადემიური მოსწრების კორელაციური კვლევა სტუდენტებში

ირმა როსტომაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

მომავლის დაგეგმვა და იდენტობის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა წინაშეც გვიანი მოზარდები დგანან. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, როგორია კავშირი დროის პერსპექტივას, პიროვნულ იდენტობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. აღნიშნული საკითხი ნაკვლევი იქნა გენდერული თვალსაზრისითაც. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 159 სტუდენტთან. იდენტობის საკვლევად გამოყენებულ იქნა იდენტობის სტილების კითხვარი - ვერსია 3 (ISI-3; Berzonsky, 1992b), დროის პერსპექტივს საკვლევად - ზიმბარდოს დროის პერსპექტივის კითხვარი (ZTPI; Zimbardo & Boyd, 1999). მონაცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამის - SPSS 21 საშუალებით. კვლევამ დაადასტურა იდენტობას, დროის პერსპექტივასა და აკდემიურ მოსწრებას შორის გარკვეული კორელაციური კავშირები, ზოგიერთ ასპექტში გამოვლინდა გენდერული განსხვავებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პიროვნული იდენტობა, დროის პერსპექტივა, აკადემიური მოსწრება, გენდერი